



10536/3-87/21 2 19102021



10536/3-87/21  
19-10-2021

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ქალბატონ ნათელა თურნავას

ქალბატონო ნათელა, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- რა ეტაპზეა მიწების პრივატიზაციის პროგრამა?
- მიმდინარეობს თუ არა ამ დროისთვის პრივატიზაცია?
- გთხოვთ მომაწოდოთ საპრივატიზაციო მიწების ნუსხა.

ქალბატონო ნათელა, გთხოვთ ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ხათუნა სამნიძე



KA021710017144821

სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY  
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა  
ტელ: (+995 32)2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia  
Tel: (+995 32)2 98 11 11  
info@nasp.gov.ge

N6/67749

29 / ოქტომბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ქალბატონ ხათუნა სამნიძეს

ქალბატონო ხათუნა,

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი თქვენი 19.10.2021 წლის N510536/3-87-21 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტო უძრავი ქონების პრივატიზებას აწარმოებს, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში: მათ შორის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N464 დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამით, რომლის ფარგლებში 2020 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე პრივატიზებულია 64 ერთეული მიწის ნაკვეთი (ჯამში პრივატიზებულია 240 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საპრივატიზებო თანხამ შეადგინა 2 998 521 ლარი), მიმდინარე პერიოდისათვის საპრივატიზებოდ მზადდება 68 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ჯამში 287 ჰა, საპრივატიზებო თანხა შეადგენს 4 343 573 ლარს). ასევე გაცნობებთ, რომ სააგენტო აგრძელებს დასახელებული პროგრამის ფარგლებში განცხადებების განხილვას.

ამასთან თქვენს მომართვაში არ არის დასახელებული თუ კონკრეტულად რომელი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში წარმოებული პრივატიზების საკითხებზე ითხოვთ ინფორმაციას, რისი გათვალისწინებითაც დაზუსტებული ინფორმაციის, კერძოდ სახელმწიფო პროგრამ(ებ)ის ბუსტი დასახელების მითითების შემთხვევაში სააგენტო შეძლებს დეტალური ინფორმაციის მოწოდებას.

დამატებით გიგზავნით სააგენტოს მიერ პროექტ - „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“-ის ფარგლებში მიმდინარე პერიოდისათვის იდენტიფიცირებული საპრივატიზებო უძრავი ქონებების შესახებ ინფორმაციას (საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას).

დანართი: ერთი ელ. ფაილი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული  
სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად



იოსებ ოქრომელიძე